პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

Personal Data Protection Service

PDPS 7 23 00002423

07/04/2023

ნიკოლოზ ნიკოლაძეს

მისამართი: [redacted]

ელ.ფოსტის მისამართი: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2023 წლის 27 მარტის №PDPS 4 23 00002060 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) 2023 წლის 27 მარტის №PDPS 0 23 00002039 წერილს, განმეორებით გაცნობებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს არ ავალდებულებს განმცხადებლისთვის სასურველი ფორმით უზრუნველყოს თავისი მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის მისთვის ჩაბარება. შესაბამისად, სამსახურის მიერ თქვენი მომართვების პასუხად მომზადებული კორესპონდენციების სიმრავლის და იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული კორესპონდენცია ჩაგბარდათ კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამსახური მიზანშეწონილად არ მიიჩნევს თქვენ მიერ დასახელებულ პერიოდში მომზადებული კორესპონდენციების ხელახლა ერთობლივად დამუშავებას და გამოგზავნას.

ამავდროულად, როგორც უკვე გეცნობათ, თუკი თქვენ მოახდენთ იმ კონკრეტული კორესპონდენციის იდენტიფიცირებას, რომლის მიღების ინტერესი გაქვთ (მაგალითად, დაკარგეთ ან დაზიანდა თქვენთვის ჩაბარებული მატერიალური დოკუმენტი), სამსახური კიდევ ერთხელ გამოხატავს მზადყოფნას მოგაწოდოთ შესაბამისი კორესპონდენცია, მათ შორის, ელექტრონული ასლის სახით.

ნ. ვაჩნაძის ქ. №7, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2421000
ელფოსტა: office@pdps.ge

7, N. Vachnadze Str., 0105, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2421000
E-mail: office@pdps.ge

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება „სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს სამართალწარმოება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე;“ (მუხ. 3, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ბ“).

პატივისცემით,

ქეთევან კრაწაშვილი

დეპარტამენტის უფროსი
საჯარო სექტორზე ზედამხედველობის
დეპარტამენტი